პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 269 (18811) ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

მივაღწიოთ მეტს

ბევრი ეპოქის გონება, სინდისი და პატიოსნება... ლენინის ეს სიტყვები, რომლებიც ჩაწერილია ჩვენს პარტიულ ბილეთში, გულს უთბობს თითოეულ კომუნისტს. უთბობს იმ შეგნებით, რომ იგი წილნაყარია პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ მიღწევებთან, მებრძოლ თანამოაზრეთა 18-მილიონიანზე მეტ რაზმთან, რომლებიც დღეს შეადგენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

საბჭოთა ადამიანები საუკეთესო მიზნებსა და გრძნობებს პარტიას უკავშირებენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი — თავის რიგებში აერთიანებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, უმჯდომოესი კავშირი, მასების უსაზღვრო ნდობა თავიანთი ავანგარდისადმი ჩვენი საზოგადოების განსაზღვრელი ნიშნებია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ემსახურება ხალხს, ცოცხლობს და მუშაობს ხალხის საკეთილდღეოდ. მისი სტრატეგიის მიზანი ის არის, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 22 ნოემბრის პლენუმზე, „რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით უკეთ ცხოვრობდნენ და მათს შრომას სულ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები მოჰქონდეს, რომ ჩვენი სოციალისტური წყობილება სულ უფრო სრულად ავლენდეს თავის ჰუმანურ არსს, თავის აღმშენებლობითს შესაძლებლობებს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ განვლილი დრო, კომუნისტების, ყველა მშრომელის ნებითა და ენერგიით, განსახიერებულია მიღწევებში, რომლებიც საბჭოთა ადამიანების უდიდეს კმაყოფილებას იწვევს. იგი აღინიშნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობით, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებით, კადრების პასუხისმგებლობის ზრდით, ორგანიზებულობის, საგეგმო და შრომის დისციპლინის უფრო მაღალი დონით, სიტყვისა და საქმის უფრო მჭიდრო ერთიანობით.

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა შესამჩნევად დაგვიჩქარებინა საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. 1983 წლის ცხრა თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წარმოების საერთო მოცულობის მატებამ 4,2 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერება 3,6 პროცენტით გაიზარდა. დიდი ნაბიჯები გადაიდგა სსრ კავშირის სახურსათო პროგრამის განხორციელების გზაზე, რაც უკვე შესამჩნევად დაეტყო ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას. განვითარდა მძიმე ინდუსტრიის საბაზო დარგები, მატულობს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვება. სტაბილურად ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განსაზღვრელი დარგები. არსებითი პოზიტიური ძვრები მოხდა პრაქტიკულად სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს შედეგები მიღწეულია ძირითადად მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების დამატებითი ხარჯვის გარეშე. აქ უპირველესი როლი შეასრულა დისციპლინის, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის ამაღლებამ ჩვენი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა რგოლში. უკვე მოგვიტანა საგრძნობი შედეგები მუშაობამ, რომელსაც დასაბამი მისცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ასე ერთსულოვნად რომ დაუჭირეს მხარი მშრომელებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა. ეს მუშაობა ხომ ერთი წლისათვის არ არის გათვალისწინებული, არსებითად იგი ახლა დაიწყო. პარტიულმა კომიტეტებმა, ყველა კომუნისტმა, რომელ უბანზე და რა პოსტზეც უნდა მუშაობდნენ, არათუ არ უნდა შეასუსტონ, პირიქით, უნდა გააძლიერონ მეცადინეობა ამ მიმართულებით. მტკიცე დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, დაკისრებული საქმისათვის მკაცრი პასუხისმგებლობა ჩვენი კოლექტიური შრომის მუდმივი ფაქტორები უნდა იყოს.

გამოკვეთილმა პოზიტიურმა ტენდენციებმა არ უნდა წარმოშვას თვითდამშვიდება და თვითკმაყოფილება. ახლა ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ხუთწლედის მესამე წლის ღირსეული დამთავრებისათვის, მოვემზადოთ, რომ დაუყოვნებლივ დავიწყოთ მუშობა მეოთხე წლის დაგალებათა შესასრულებლად. კიდევ უფრო აქტიურად უნდა ვეწეოდეთ მუშაობას კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის, ვიღვწოდეთ, რომ გადამწყვეტ უბნებზე იდგნენ პოლიტიკურად მოწიფული, კომპეტენტური, ინიციატივიანი ადამიანები, რომლებსაც ეკნებათ ორგანიზატორული უნარი და ახლის გრძნობა. უნდა განვაგრძოთ მეცადინეობა ხალხის მასების აქტიურობის ასამაღლებლად, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, თვით მისი სულისკვეთება. ახლა პარტიაში მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ამ ამოცანათა განხორციელების უფართოეს შესაძლებლობებს სახავს.

ინიციატივა, მომთხოვნელობა და გერგილიანობა, რეალიზმი მიღწეულის შეფასებაში, მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძვლიანობა და უნარი ვრაზმავდეთ ადამიანებს მათი შესრულებისათვის, ბოლომდე მიგვყავდეს დაწყებული საქმე, ვხელავდეთ პერსპექტივას — მუშობის ასეთ სტილს სამართლიანად ვუწოდებთ ლენინურს. ყველგან დავამკვიდროთ იგი — ნიშნავს კიდევ უფრო ხელშემწყობი პირობები შევუქმნათ საბჭოთა ადამიანების შემოქმედების ფართოდ გამოვლენას, ახალ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, უკვე ცნობილი ამოცანებისადმი ახალი მიდგომის შედეგად ძიებას. ეს ნიშნავს კიდევ უფრო ეფექტიანად და მომჭირნედ ვიყენებდეთ ყოველივე იმას, რაც აქვს ქვეყანას, კიდევ უფრო ენერგიულად ვძლევდეთ იმას, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

არ დავჯერდეთ გაკეთებულს, არ დავჯერდეთ მიღწეულს, არამედ უთუოდ ვიაროთ წინ, მივაღწიოთ უთუოდ მეტს — ვ. ი. ლენინის ეს ანდერძი უნდა გახდეს თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის მოქმედების სახელმძღვანელო, აღუფრავდეს მას სურვილს, რომ თავის პოსტზე, თავის უბანზე მუშაობდეს რაც შეიძლება უკეთ, რაც შეიძლება ხარისხიანად.

ჩვენ ამისათვის ყველაფერი გვაქვს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა შეგვაჯერა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მკაფიო პროგრამით. ახალი ცხოვრების შემოქმედთა აღმშენებლობითი შრომა საამედოდ არის დაცული სსრ კავშირის თავდაცვითი ძალიერებით, მშვიდობის დასაცავად იმ მეცადინეობით, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მტკიცედ განაგრძობენ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაშიც, ასე რომ ვაიმწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ავანტიერისტულმა პოლიტიკამ. თანდათანობით უმჯობესდება ჩვენი სახალხო მეურნეობა, მისი მართვა და დაგეგმვა, სულ უფრო სრულად კმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. თითოეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული და მოქალაქეობრივი მოვალეობაა შრომმდეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, ქეთილსინდისიერად ასრულებდეს დაკისრებულ საქმეს.

განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფა, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმეა. და ჩვენ ყველამ შეძლებისდაგვარი წვლილი უნდა შევიტანოთ ამ საქმეში.

22 ნოემბრის მოწინავე

განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები, დავძლიოთ სირთულეები

მოწინავე პოზიციებზე

უკვე შევეჩვიეთ და აღარ გვაკვირვებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო გეგმები მრეწველობაში, ტრანსპორტში, მშენებლობის მრავალ დარგში, სოფლის მეურნეობაში გადაჭარბებით სრულდება, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საქართველომ დიდი გამარჯვებანი მოიპოვა და ქვეყანაში მოწინავე პოზიციებზე გავიდა. მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის ეკონომიკამ მიაღწია საუნიონო საკავშირო დონეს და ზოგ შემთხვევაში გაუსწრო კიდეც მას.

ყველაფერი ეს, უპირველესად, რესპუბლიკის მუშათა კლასისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის ნაყოფია. ამოგვაგია იმ ტიტანური მუშაობისა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა წლიდან წლამდე ეწევიან სახალხო მეურნეობის სტაბილური მდგომარეობის დამკვიდრებისათვის, სოციალური პრობლემების უთუო გადაწყვეტისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აპრილწინანდელ გაფართოებულ სხდომაზე, რომელმაც სამეურნეო წლის 10 თვის შედეგები შეაჯამა, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოლექტივების შემოქმედებული შრომით, საქმისადმი მუყაითი დამოკიდებულებით, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებით მოპოვებულია საკმაოდ დამაჯერებელი მიღწევები. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების გეგმები. დამზადდა გათვალისწინებულზე 193,2 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი.

დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად ზემოაღნიშნულ პერიოდში დიდძალი რეზერვები გამოავლინეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის, ხორცისა და რძის, სასოფლო მშენებლობის, მშენებლობის, სამენარმეო სამინისტროების, „საქნავთობის“, „საქლვენომანქანის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებებმა, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ზესტაფონის ზოგიერთმა ქარხანამ.

რესპუბლიკის მრეწველობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც უკეთ გამოიყურება. რაც შეეხება იმ პროდუქციის მოცულობის მაჩვენებელს, რომელიც ატესტაციას ექვემდებარება, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საუკეთესოა. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. შესამჩნევი წინსვლაა კაპიტალურ მშენებლობაშიც. ათ თვეში ამოქმედდა 805,3 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 20 პროცენტით სჭარბობს შარშანდელ მაჩვენებელს.

არახელსაყრელი ამინდებით მიყენებული ზარალის მიუხედავად, იანვარ-სექტემბრის დავალებანი შეასრულა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების უმეტესობამ.

კომპეტენტურობა და უწყებრიობა?!

იმ სასიკეთო ძვრებს, რომლებიც ამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, ბევრად უწყობს ხელს სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების ჩამოყალიბება, მეტად იგრძნობა მათი იდეურ-პოლიტიკური სიმწიფე, პასუხისმგებლობა, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია, კომპეტენტურობა.

ყველაფერი ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა როგორც ოქტომბრის, ისე ნოემბრის ბიუროს გაფართოებულ სხდომებზე. სამეურნეო ხელმძღვანელების ინფორმაციებში არ იყო პარადოქსობა და ბაქიბუქობა, ლაკონიურ სიტყვებში ძირითადად არსებული მდგომარეობისადმი სერიოზული დამოკიდებულება იგრძნობოდა, პრაქტიკულად ყველა მათგანი მიუთითებდა მხოლოდ იმ რეზერვებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება აუცილებელი, კონკრეტული წვლილის შეტანა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებაში, მომავალი და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედისათვის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

იყო შემთხვევები, როცა ბიუროს სხდომაზე ზოგიერთი ხელმძღვანელის გამოსვლა არ იყო წინასწარ გათვალისწინებული — ამის აუცილებლობა სხდომის მსვლელობამ წამოჭრა. ყველა მათგანმა გამოავლინა საქმის ღრმა ცოდნა, კომპეტენტურობა, შეკრებილთათვის საინტერესო ყველა საკითხზე დამაჯერებელი პასუხი გასცა.

საქმის ასეთი ვითარება მომავალი წარმატების საწინდარია, საშუალებას იძლევა კრიტიკულად შეფასდეს ნაკლოვანებანი, რომლებიც მიღწევების მიუხედავად, ჯერ კიდევ საკმაოდ არის დროშელთა აღმოფხვრას ჯერ კიდევ შესამჩნევად უშლის ხელს უწყობრიობა.

დიახ, იმ ხელმძღვანელებიდან, რომლებმაც ისწავლეს მეურნეობის მართვა და გარკვეული მიღწევები აქვთ, ბევრმა თავი ვერ დაიწია უწყებრიობის მარწუხებს. არადა, სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, მისი მომდევნო ყველა პლენუმის გადაწყვეტილებებს წმინდ ზოლად გასდევს აზრი და მოთხოვნა საქმისადმი სახელმწიფოებრივი, პარტიული მიდგომის - თაობაზე.

დაუსრულებლად გრძელდება კამათი სამინისტროების, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის. ბევრ მათგანს ვერა და ვერ გამოუძებნია ურთიერთდამოკიდებულების საერთო მნიშვნელი. ხომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ არ დამთავრდეს დავა ამერკავკასიის რკინიგზასა და მის მომხმარებელს შორის. პირველი ამტკიცებს, რომ უხვად ამარაგებს, ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს ვაგონებით, მეორე არ ეთანხმება ამაში. არ ეთანხმება იმიტომ, რომ თუ ციტრუსების გადაზიდვა ხერხდება (გასაგებია — სეზონია), სხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის ვაგონები არ არის. სხვათა შორის, კამათი რკინიგზასა და მის მომხმარებელს შორის შარშანწინ და შარშანაც დროის ამ პერიოდში მიმდინარეობდა. საქმის ასეთი ვითარება სერიოზული დასკვნის გამოტანას მოითხოვს. ეს ეხება არა მარტო რკინიგზას, არამედ მის მომხმარებელსაც. იგულისხმება არც თუ იშვიათი შემთხვევები, როცა სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების ხელმძღვანელები არ უზრუნველყოფენ ვაგონების დროულ გადმოტვირთვას, და ამით დიდად აფერხებენ ვაგონთა ბრუნვას.

საქმისადმი უწყებრივი დამოკიდებულებით სცოდავს ერთმანეთთან ხელშეკრულებით დაკავშირებული სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები. საქმე კი მოითხოვს, და მოითხოვს დაბჯითებით, ურთიერთპრეტენზიებიდან ურთიერთდახმარებაზე გადასვლას, სახელმწიფო ინტერესების წინა პლანზე წამოწევას.

და კიდევ და კიდევ დისციპლინა!

ვდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, საგეგმო დისციპლინას რომ ყველა იცავდეს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი რესპუბლიკაში გადიდდა. იმ 65 სახეობის პროდუქციიდან, რომელსაც სტატისტიკური სამმართველო თავის ოპერატიულ მონაცემებში ითვალისწინებს, 26-ის მიხედვით გეგმები არ სრულდება.

მართალია, ცალკეული სახეობის პროდუქციის დამზადების დავალების შესრულების მატერიალური რესურსების ნაკლებობა უშლიდა ხელს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბევრგან დაბალია შრომის ორგანიზაციისა და წარმოების დონე, ჭიანურდება ახალი სიმძლავრეების ათვისება, საწარმოთა რეკონსტრუქცია, თავის დროზე არ სრულდება კაპიტალური რემონტი და მრავალი სხვა. ბევრი რამ არის მოსაგვარებელი კადრების განაწილებისა და შენარჩუნების მხრივ.

სახარბიელოდ რომ ვერ არის საქმე სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის მხრივ იქედანაც ჩანს, რომ ცხრა თვეში მომხმარებელს 198,2 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლდა. „საქქვანახშირის“, „ახოტის“, და ქიმიური ბოჭკოს საწარმოო გაერთიანებებში, მაგალითად, სახელმწიფო გეგმები ვერ შესრულდა იმიტომ, რომ სუსტია შრომის დისციპლინა, არ იგრძნობა დიდი პასუხისმგებლობა. ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმი, არადამაკმაყოფილებელია დანადგარებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მდგომარეობა. იგივე რუსთავის ქიმიური ბოჭკოს გაერთიანებაში ხელმძღვანელობას რომ მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა და წესრიგში მოეყვანა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ტექნიკა, წარმოება ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა.

მნიშვნელოვანი საქმისათვის კადრების დიდ პასუხისმგებლობას ახლა განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა ყოველთვის სწორად შევაფასოთ შექმნილი ვითარება, ობიექტური, ღრმად შესწავლილი, გაანალიზებული ინფორმაციები მივაწოდოთ ზემდგომ ორგანოებს, თორემ სხვანაირად ჩვენს თავს თვითონვე ვუქმნით დამატებითს სირთულეებს.

რესპუბლიკის მევენახეობის რაიონების ხელმძღვანელებს რომ მეტი სერიოზულობით გაეანალიზებინათ უამინდობის გამო შექმნილი სიტუაცია, კარგად აეწონდაფწონათ თავიანთი შესაძლებლობანი, ყურძნის დამზადების საკითხში გაუგებრობა არ მოხდებოდა. თორემ რა გამოვიდა, ისინი ამტკიცებენ, რომ სეტყვისა და სხვა სტიქიური უბედურების მიუხედავად ყურძნის მოსავალი 500 ათას ტონას მიაღწევდა და სწორედ ამით ხელმძღვანელობდნენ ზემდგომი ორგანოები, როცა რესპუბლიკის ღვინის მრეწველობისათვის გეგმას ამტკიცებდნენ. სინამდვილეში კი ყურძნის დამზადების მოცულობამ 360 ათას ტონასაც ძლივს მიაღწია. პროგნოზებში დისციპლინა ისევე აუცილებელია, როგორც სადღეისო პრაქტიკაში.

სადღეისო და სახვალიო საბატიო ამოცანა

ახლა მთავარია, რომ რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულოს წლიური სახელმწიფო გეგმა, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და გადიდეს ხუთწლედთ გათვალისწინებულ მიზანზე.

გადამმუშავებელი მრეწველობის დანაკარგი ფულად გამოხატულებით 320 მილიონ მანეთს შეადგენს, საგაისოდ ეს ციფრი 390 მილიონამდე გაიზრდება. მდგომარეობას მრეწველობაში და სხვა დარგებში მატერიალური რესურსების ნაკლებობა ართულებს, ცხადია, ობიექტური მიზეზებიც აფერხებს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს უმოქმედობის მიზეზი. პირიქით, სწორედ ასეთ პირობებში უნდა გამოვიჩინოთ მოქნილობა, ოპერატიულობა, დიდი პასუხისმგებლობა, დამატებითი რეზერვების გამოვლინებითა და გამოყენებით ვეძიოთ გზები მიზნის მისაღწევად. სამინისტროებმა და უწყებებმა დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ უნდა მისცენ დამატებითი დავალებანი, უპირველესად ეს ეხება კვების და ხილეულეულის სამინისტროებს, ღვინისა და ჩაის მრეწველობის კომიტეტებს, რომელთა პროდუქციის წილი რესპუბლიკაში 40 პროცენტს შეადგენს.

როცა ლაპარაკია მომდინარე წლის გეგმების უთუო შესრულებაზე, აქ მომავალი წლისა და მოლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაც იგულისხმება. რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე დადგა ამოცანა გაისად აუცილებლად გამოუშვას გეგმის გადამეტებით 300 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ეს დიდად საპატიო და საპრესტიჟო ამოცანაა და იგი უნდა უყოყმანოდ გადაიჭრას.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

მზოლოდ მაღალხარისხოვანი

თბილისის პირველი მაისის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსან სამკერვალო ფაბრიკაში ყველა იცნობს მოწინავე მკერავს მარინე ოდიშვილს.

№ 43 პროფტექნიკური სახწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა მარინე ფაბრიკაში და თავისი სიბეჯითითა და გარჯით დაიმსახურა თანამოსაქმეთა ხიყვარული და პატივისცემა. ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდა მუშა აირჩიეს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად, იგი არჩეული იყო აგრეთვე საკავშირო ალკაკ XIX ყრილობის დელეგატად.

მარინე ოდიშვილი სკკპ წევრია, საწარმოო გეგმებს 120 პროცენტით ასრულებს. მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ მაღალი ხარისხისაა.

ა. სააკოვის ფოტო.

სამედიცინო საქმის სრულყოფისათვის

თბილისში რამდენიმე დღეს იმყოფებოდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ნ. ბლოხინი. ისინი მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრების მუშაობასა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმების, სსრ კავშირის, რუსეთის სფს რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სამეცნიერო სამედიცინო საბჭოების პრეზიდიუმების საზეიმო სხდომაში, რომელიც მიეძღვნა რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს.

ს. პ. ბურენკოვი და ნ. ნ. ბლოხინი გაეცნენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საქმიანობას, იმას, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს მედიცინის მუშაკები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებებს სამედიცინო დახმარების დონის ამაღლების შესახებ, როგორ ემზადებიან რესპუბლიკაში მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის მოწყობისათვის.

ისინი ეწვივნენ სამკურნალო დაწესებულებებს, რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოს, ბავშვთა სარეაბილიტაციო და ანტისანტიკურ ცენტრებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის, მორფოლოგიის ინსტიტუტებს, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენეტიკული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს.

მაღალი შეფასება მიეცა რესპუბლიკაში სამედიცინო დახმარების საქმის დაყენებას, მედიცინის მეცნიერების მიღწევებს საქართველოში. ს. პ. ბურენკოვმა და ნ. ნ. ბლოხინმა დადებითად შეაფასეს ბავშვთა სარეაბილიტაციო და ანტისანტიკური ცენტრების საქმიანობა, აღნიშნეს, რომ მათი მუშაობის გამოცდილება ფართო გავრცელების ღირსია. გამოითქვა სურვილი გაეფართოოთ სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციები, ხელი მოვკიდოთ აქ დაავადებათა პროფილაქტიკასაც. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევას, რომელსაც მორფოლოგიისა და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტებში ეწევიან, კერძოდ, ინტერფერონის მიღების დარგში, აგრეთვე ქვეყანაში პირველად ადგილობრივი ნედლეულიდან სტეროიდების მიღების მეთოდიკას.

ს. პ. ბურენკოვმა და ნ. ნ. ბლოხინმა აღნიშნეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაწესებულებებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების კოოპერაციისათვის, პარტნიორობისათვის რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობა. მათ თქვეს, რომ მიზანშეწონილია გაფართოვდეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დიდ სამედიცინო სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი კვლევა.

გამოითქვა შენიშვნები და წინადადებანი რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფის, მედიცინის მეცნიერების დარგში კვლევის შედეგები ინტენსიფიკაციის, პრაქტიკულ ჯანმრთელობის დაცვასთან მისი დაახლოების შესახებ.

(საქინფორმი).

ჰოსპოსი თანამშრომლობის ასპარეზია

დუშანბე, 22 ნოემბერი. (საკ-დესის კორ.). საბჭოთა კოსმონავტიკის მიღწევებმა სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანას ფართო შესაძლებლობა შეუქმნა თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლისა და ათვისებისათვის. ეს აღინიშნა „ინტერკოსმოსის“ პროგრამით გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ტაჯიკეთის დედაქალაქში გაიხსნა.

სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა, კოსმონავტთა, სპეციალისტთა შეხვედრა მიეძღვნა „სალუტ-6“ ორბიტულ სადგურზე დედამიწის ბუნებრივი რესურსების გამოკვლევათა შედეგებს.

ეს გამოკვლევები სრულდებოდა მრავალმხრივ საფუძველზე შემუშავებული პროგრამის მიხედვით, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტთა უშუალო მონაწილეობით.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მეცნიერული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს „ინტერკოსმოსის“ მონაწილე ქვეყნებისათვის „სალუტზე“ წარმოებული ექსპერიმენტებისა და დაკვირვებების შედეგებს.

მშვიდობისათვის, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ

22 ნოემბერს თბილისში გაიხსნა მშვიდობის დაცვისათვის, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის სხდომა.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადების შესაბამისად კომიტეტის ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. ველიხოვმა. ატომსფერის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. გოლიცინმა, აფრიკის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გრომიკომ დამსწრეთ მოახსენეს ვაშინგტონში ამას წინათ გამართული საერთაშორისო კონფერენციის — „მსოფლიო ბირთვული ომის შემდეგ“ — შედეგებისა და ბირთვული ომის გრძელვადიანი შედეგების შესასწავლად საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის მუშაობის შესახებ.

კომიტეტის საქმიანობაში ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეცნიერთა მონაწილეობას მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებები აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ალდულაევმა, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმდივანმა გ. გალოიანმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ბატირმურზაევმა, ჩრდილოეთ კავკასიის უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ ი. კოლესნიკოვმა.

განიხილეს აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

სხდომის ფარგლებში გაიმართა საბჭოთა მეცნიერების შეხვედრა ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, რომელსაც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ფრენკ ფონ ჰიპელი მეთაურობს.

აკადემიკოსმა ე. ველიხოვმა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: — საბჭოთა მეცნიერები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ ომის მზარდი საფრთხის გამო. ისევე როგორც მსოფლიოს მეტი წილი მეცნიერები, დარწმუნებული ვართ, რომ გამალებული შეიარაღების ზრდას, საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, საშიში ხასიათი აქვს და შეუქცევადი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

იმის მაგივრად, რომ მორიგების სურვილი გამოიჩინოს, საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება განაგრძოს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აჩქარებს ახალ საჰაერო იარაღის განვითარების პროცესს, მილიტარიზაციის პროცესს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი არაფერს მატებს არც ერთი ქვეყნის, მათ შორის შეერთებული შტატების უშიშროებასაც, რადგან სსრ კავშირი, სოციალისტური ქვეყნები ყოველთვის იდგებიან თავიანთი უშიშროების სადარაჯოზე და არ დაუშვებენ, რომ მოლანათა განვითარებამ ხელი შეუწყოს შეიარაღების დარგში რაიმე უპირატესობას ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ.

ადამიანების ჯანმრთელობა პარტიის საზრუნავია

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

რობერტ უკვე ეიუწყებოდით, 19 ნოემბერს ბოლმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც განიხილეს საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებების შესაბამისად რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სამედიცინო დაწესებულებების ამოცანების შესახებ.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. კამათში მონაწილეობდნენ პარტიული მუშაკები, მეცნიერი მედიკოსები და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები. შეეხნენ რა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებს, მათ დასახეს აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების გზები, პრობლემები, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ, რათა რესპუბლიკის მშრომელთა სამედიცინო მომსახურება თვისებრივად ახალ სამეცნიერო და პრაქტიკულ დონეზე ავიყვანოთ.

პროფილაქტიკა — უნინარეს ყოვლისა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ პარტიის სოციალურ პოლიტიკაში სულ უფრო მეტ ადგილს დაიკავებს ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ამასთან მან ხაზი გაუსვა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დაავადებათა თავიდან აცილება, მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის შემოღება. სკკპ ხომ ეხება ადამიანების ჯანმრთელობას, ესე იგი უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

კანონზომიერია, რომ პროფილაქტიკის, დისპანსერიზაციის საკითხები აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო. დისპანსერიზაცია უნდა მივიჩნიოთ სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცების ძირითად გზად. მისი მიზანია დაავადებათა თავიდან აცილება და მათი შემცირება, მშრომელთა შაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან, ჯანმრთელობის დაცვის საოლქო, საქალაქო სამმართველოებთან და განყოფილებებთან არსებული მუდმივმოქმედი კომისიები.

მაგალითად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსმა **გ. აბესაძემ** თქვა, რომ სამმართველოსთან შეიქმნა დისპანსერიზაციის საქალაქო საკოორდინაციო შტაბი, მუშაობს სემინარი სამედიცინო მუშაკებისათვის, დასახულია ამ ამოცანის გადაწყვეტის ორგანიზაციული და მეთოდიკური გზები. მუდმივი კომისია მოქმედებს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სადაც სწავლობენ კადრებისა და მატერიალურ შესაძლებლობებს, განაზოგადებენ ამ დარგში შეძენილ გამოცდილებას და ა. შ.

რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის ყოველწლიური პროფილაქტიკური შემოწმების განსახორციელებლად. წარმატებით მიმდინარეობს სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის ახალი ფორმების — სოფლის პოლიკლინიკებისა და საეტალონო დაწესებულებების აპრობაცია. დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების გადასვლამ ორცვლიან მუშაობაზე. შეიქმნა ექიმამდელი მიღების კაბინეტები, ფართოდ ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ქალაქ ფოთის სამედიცინო სამსახური წარმატებით ახორციელებს საყოველთაო დისპანსერიზაციის ექსპერიმენტს. ამაში მას დიდ დახმარებას უწევენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ანალოგიური მუშაობის დაწყება დასახულია თბილისსა და ბელადანის რაიონში. ჯანმრთელი ადამიანების დისპანსერიზაციის ერთ-ერთი ფორმაა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების პერიოდული შემოწმება. ესენი არიან, უწინარეს ყოვლისა, ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, სკოლამდელები, პროფესიონულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, მომუშავე მოზარდები, წვეულმდელი ახალგაზრდობა, ორსულები, დიდი სამამულო ომის ინვალიდები და ვეტერანები, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მუშები, სტუდენტები.

— დისპანსერიზაცია უდიდეს სარგებლობას მოგვიტანს, — ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **გ. ლეფაევამ.** — მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ მას კვალიფიციურად და სათანადო დონეზე ვაწარმოებთ. მოგეგებდება დაძლევთ ბევრი სიძნელე და, უწინარეს ყოველისა, შესაბამისად შევცვალოთ ადამიანების შეგნება. ჩვენც კი, ხელმძღვანელები, ხშირად ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ დისპანსერიზაცია, ან ფორმალურად გავიარ-ოთ იგი. მეორე მხრივ, დაახლოებით მილიონ-ნახევარი კაცის დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა შტატების მნიშვნელოვანი გადიდების გარეშე მოითხოვს როგორც მედიკოსების, ისე უწყებისა და საწარმოების ხელმძღვანელების ძალიან ზუსტ მუშაობას. წარაიმდეგ შემოხვევაში ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია ფორმალურ ხასიათს შეიძენს.

მიუხედავად იმ პირების რიცხვის ზრდის ტენდენციისა, რომლებზეც დისპანსერიზაცია ვრცელდება, ამ მნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ხარისხის საზიანოდ რაოდენობის გამოდევნება. ამის შედეგად ჯერ კიდევ საკმარისი არ არის დაავადებათა ადრეული ფორმების გამოვლინება, ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას ავადმყოფების გეგმიანი ჰოსპიტალიზაცია. ეს სტაციონარების საწოლების ფონდის არარაციონალური გამოყენების ერთ-ერთი მიზეზია.

წარმატებული დისპანსერიზაციისათვის უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მოსახლეობის ჰიგიენური აღზრდისათვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისათვის. ყოველი საბჭოთა ადამიანი უნდა ზრუნავდეს საკუთარი და გარშემო მყოფთა ჯანმრთელობისათვის. თანამიმდევრულად და გასაგებად უნდა განვუმარტოთ მშრომელებს დისპანსერიზაციის მიზნები და ამოცანები, შევაგენებინოთ ყოველ მცხოვრებს პარტიის ამ ინიციატივის მაღალ ჰუმანური არსი, აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში ბორდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **ა. კონოვალოვმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი დანიშნულების კურორტების სამმართველოს უფროსმა **ს. ლულუნაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის აჭარის სოლჟო კომიტეტის მდივანმა **ნ. გუბუნავამ** და აქტივის კრების სხვა მონაწილეებმა.

— დისპანსერიზაციის განხორციელება დაგეგმილია ორ ეტაპად, რომელთა დროს უნდა გავაფართოოთ ლაბორატორიული კვლევის დიაპაზონი, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ დისპანსერიზაციის დროს ავტომატიზებული სისტემები. სახელმწიფოს მოუხდება საკმაოდ დიდი დამატებითი სახსრების დახარჯვა და ისინი მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ, — თქვა აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **ა. აკაბბამ.**

მედიცინის მუშაკთა წინაშე პარტიის მიერ დასახული ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესაბამისად ქართველმა მეცნიერებმა თავიანთ გამოკვლევებში მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმონ ნამუშევრებს დაავადებათა პროფილაქტიკის დარგში, შეიმუშაონ საყოველთაო დისპანსერიზაციის სამეცნიერო ბაზა.

გულისხმიერება, ყურადღება იგივე ნამალია

მაღალკუმანური, კეთილშობილური მოვალეობათა შესრულებისათვის ჩვენს მედიკოსებს დიდი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი აქვთ. სამკურნალო დაწესებულებანი წლითიწლობით სულ უფრო სრულად აღიჭურვება საჭირო მოწყობილობით, ახალი ინსტრუმენტებით, უფრო რიტმული გახდა საჭირო მედიკამენტებით მათი მომარაგება. მაღლდება სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია. ყოველივე ეს ერთად დაავადებათა თავიდან აცილების პროფილაქტიკური მუშაობისა და ავადმყოფების მკურნალობის გაუმჯობესების საშუალებას ქმნის.

მაგრამ კრების მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ მედიკოსთა ხელში არანაკლებ კეთილმყოფელი წამალია გულისხმიერება და ყურადღება ადამიანებისადმი. ეს ცნებები ბევრ რამეს გულისხმობს — სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმით დაწყებული და ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით მედიკამენტების იოლი შეძენით დამთავრებული. ამ დროს კი ამ ჯაჭვში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი, შეიონის ტერიტორიაზე მდებარე შეყუჟულ დაბაში, სადაც ცხრამოსს 800 კაცი, ბოლო წლებში აშენდა სამასზე მეტი ბინა, სადაც არის ცხელი და ... აიგო კლუბი, ორი მუშათა სასადილო, სპორტული ბაღა-ბაღი, პოლიკლინიკა 150 პაციენტისათვის, აფთიაქი, სპორტდარბაზი, საკურაო აუზი ბავშვებისათვის და ბევრი სხვა ობიექტი. ადმინისტრაციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია ზრუნვა შრომელთა დასვენებისთვისაც. გაისად მწყობრში უნდა ჩადგეს დასვენების ბაზის 332-ადგილიანი კორპუსი და პიონერთა ბანაკი ურეკში, დასვენების ბაზისა და სპორტული ... ადგილიანი კორპუსი ონის რაიონის დაბა შოვში. გაგრძელდება სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის შენებლობა ბაკურიანში. ამის შედეგად 1985-1986 წლებში ოთხი ათას მუშა-მოსამსახურეს ოჯახებით შესაძლებლობა ექნება დაისვენოს გაერთიანების ბაზებში.

გაერთიანებამ მოაგვარა შეფობა რესპუბლიკურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან, კერძოდ, რესპუბლიკურ სპორტულ საავადმყოფოსთან. მისი სპეციალისტების ბრიგადები მთის დაბების მცხოვრებთა ხშირი სტუმრები არიან. ისინი ეწევიან მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების გამოკვლევას, საჭიროების შემთხვევაში უნიშნავენ მკურნალობას.

„საქსამთოქიმმრეწვის“ მუშები მათთვის და მათი ოჯახებისათვის ზრუნვა-ყურადღებას დამკვრელური შრომით უპასუხებენ.

— წარმოიდგინეთ, როგორი დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატი იქმნება საწარმოებში, როცა თითოეული მუშა ხედავს, თითოეულმა იცის, რომ მათი და მათი ოჯახების ჯანმრთელობას იცავენ მაღალი კლასის სპეციალისტები, — თქვა აქტივის კრებაზე გამოსვლისას საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ გენერალურმა დირექტორმა **ნ. ცხაკაიამ.**

— ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, მათდამი ყურადღება, — თქვა თავის გამოსვლაში პარტიის ახალქალაქის რაიკ-

(დასასრული მე-3 გვ.).

ამხ. ს. პ. ბურენკოვის გამოსვლა

(სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი)

პატივცემულო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ დიდი მადლობა გადავუხადო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს იმის გამო, რომ შესაძლებლობა მოგვცა მონაწილეობა მიგვეღო . ახლანდელი პარტიულ-სამეურნეო აქტივის მუშაობაში.

ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში ღრმად არის გაანალიზებული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა, განსაზღვრულია რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, დაწესებულებების წინაშე დასახული როგორც გადაუდებელი, ისე პერსპექტიული ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებენ სამედიცინო დახმარების დონის ამაღლებისა და ჩვენს ქვეყანაში დაავადებათა თავიდან აცილების და მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის შემოღებისათვის მუშაობის გაზრდილების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესრულებას.

ისტორიისათვის მოკლე დროში — საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან გადაიქცა საბჭოეთის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე აქვს. ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა გაჯანსაღების, ავადობის, სიკვდილიანობის შემცირების დარგში. ამ პერიოდში ერთიორად და მეტად გაიზარდა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. არსებითად, აღმოფხვრა მრავალი მასობრივი ინფექციური დაავადება.

დღეს შეიძლება სრულიად სამართლიანად ვთქვათ, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სამედიცინო დახმარების ხასიათი. სწორედ დახმარებისა, და არა მომსახურებისა. ამჟამად რესპუბლიკაში მაღალი ექიმებით, საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის დონე. ექიმების რიცხვით საქართველოს სს რესპუბლიკას მოსკოვის შემდეგ, უეჭველია, პირველი ადგილი უკავია.

ამასთან უნდა, დავძინოთ, რომ საქართველოს მრავალი სწავლულ-მედიკოსის შრომები აღნიშნულია საპატიო ჯილდოებთ, მათ შორის ლენინური და სახელმწიფო პრემიებით. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რა უდიდესი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს, ექიმებსა და საშუალო სამედიცინო პერსონალს როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ისე მედიცინის მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში, აგრეთვე ის, თუ რა დიდი მუშაობაა გაწეული ბოლო დროს სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის ახალი მეთოდების განვითარებისათვის. სრულიად სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმ წარმატებებით, რომლებსაც მიაღწია თქვენმა რესპუბლიკამ მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

მაგრამ საჭიროა შევეხოთ ზოგიერთ პრობლემასაც. მთავრდება მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წელი. მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის მედიცინის მუშაკებიც, აქტიურად მონაწილეობენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის საპროგრამო დებულებები, დასკვნები და მითითებები უდიდესი წვლილია კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამების განხორციელებას. ივნისის პლენუმმა ახალი თვისებრივი ეტაპი განსაზღვრა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საქმეშიც. ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების სოციალური მნიშვნელობა. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მისი თვისებრივი დონე ყოველთვის როდი შეესაბამება პირობებს, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ამოცანებს, რომლებსაც სახავს დღევანდელი დღე. დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაავადების თავიდან აცილებას, ქვეყნის მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის შემოღებას.

აქტივის კრებაზე თავიანთ გამოსვლებში ამხანაგებმა სწორად აღნიშნეს, რომ ასეთი რთული ამოცანების გადაწყვეტისთვის საჭირო იქნება ბევრი ლაბორატორიული მოწყობილობა და სადიაგნოზო ხელსაწყოები, სამკურნალო აპარატურა და წამლები, რეაქტივები, რაც დღეს საკმარისად არა გვაქვს. მომავალში მეტი უნდა გვქონდეს.

მაგრამ აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენ ყოველთვის სწორად როდი ვიყენებთ იმას, რაც გვაქვს. ჯერ კიდევ დიდძალი ტექნიკა და ძვირად ღირებული მოწყობილობა იმტვრება საწყობებსა და საავადმყოფოების სარდაფებში. წესრიგი უწინარეს ყოველისა ამ მხრივ უნდა დავამყაროთ. და მოდით, დავამყაროთ ეს წესრიგი. ასეთია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნა.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს კადრებთან მუშაობა. ზოგჯერ გაისმის ხმები: კადრები არ გვყოფნისო. მაგრამ მოდით გადავხედოთ, როგორ ამზადებენ, ანაწილებენ და იყენებენ მათ. თუ ავიღებთ, მაგალითად, საქართველოს სს რესპუბლიკას, როშლის შესახებაც ვთქვი, რომ მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ქვეყანაში ექიმებით სტატისტიკური უზრუნველყოფის მიხედვით, აღმოჩნდება, რომ პრაქტიკულად ერთ ადგილას თუ მედიკოსების სიჭარბეა, სხვაგან მათი ქრონიკული ნაკლებობაა. საქმე ის არის, რომ ექიმების ნახევარი თბილისშია. მართალია, აქ კონცენტრირებულია შესაბამისი ინსტიტუტები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას, სრულიად დაუშვებელია, რომ სოფელს ექიმები არ ჰყოფნის. ეს, გულახდილად თუ ვიტყვით, ჩვენი და თქვენი ხარვეზია, ჩვენი და თქვენი შეცდომებია ორგანიზატორულ მუშაობაში, და თუ პირდაპირ ვიტყვით სათანადო წესრიგის უქონლობაა. მუშაობა კი დიდი გველის. და მას ვალდებული ვართ მომზადებული შევუდგეთ.

ყოველთვის ყველაფერი რიგზე როდია მედიკოსების, განსაკუთრებით საშუალო რგოლის მედიკოსების მომზადების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამ ეიებში ჩვენ დავათვალიერეთ თბილისის ერთ-ერთი უძველესი სამედიცინო სასწავლებელი, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაარსდა. იქ ნორმალურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, არის საჭირო მოწყობილობა, მაგრამ თვითონ სასწავლებელი განლაგებულია ულაზათო შენობაში. ეს მდგომარეობა ოპერატიულად და საბოლოოდ უნდა გამოსწორდეს.

ბოლო წლების მანძილზე პარტიამ და მთავრობამ გამოსცეს რამდენიმე დადგენილება საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხებზე. ისინი სტრატეგიული ხასიათისაა, აყენებენ კარდინალურ პრობლემებს, კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც სამედიცინო ტექნიკის წარმოების ნომენკლატურასაც ეხება. მაგრამ დრო გადის, ეს ნომენკლატურა იცვლება. და ჩვენი ამოცანაა სპეციალისტების, სწავლულების, ექიმების მონაწილეობით სრულყოფთ ეს ნომენკლატურა, გადიდებული მოთხოვნა წავუყენოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამრეწველო სამინისტროებს და კონკრეტულ საწარმოებს.

ჯერ კიდევ ნელა იქმნება აღდგენითი მკურნალობის განყოფილებები, სადაც ადამიანები აღიდგენენ თავიანთ ჯანმრთელობას გადატანილი დაავადებების შემდეგ. კარგი იქნებოდა ასეთ ცენტრებს დაემატოს კიდევ ქვეგანყოფი, რომელიც იმუშავებს დაავადებათა პროფილაქტიკაზე, თავიდან აგვაცილებს მათ განვითარებას. აი, მაშინ ეს იქნება ჭეშმარიტად არა მარტო აღდგენითი ცენტრი, არამედ ჯანმრთელობის განმტკიცების ცენტრიც.

რესპუბლიკაში შექმნილია საკონსულტაციო დიაგნოსტიკური პოლიკლინიკების ქსელი, ძალზე კარგია, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაკები წავიდნენ პრაქტიკულ დაწესებულებებში. ყოველ სამედიცინო ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს თავისი კლინიკა. იქ, სადაც მეცნიერება და პრაქტიკა მხარდამხარ იღვწიან, მაღლდება ექიმების კვალიფიკაცია. ამას მთავარი სარგებლობა მოაქვს ავადმყოფებისათვის, რომლებიც იქ სამკურნალოდ იმყოფებიან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ექიმების პრაქტიკულ მომზადებას. ეერ პოლიკლინიკაში გამოკვეთხე 30 მედიკოსი და მათგან 28 მედიკოსმა აღიარა, რომ არ შეუძლიათ ელექტროკარდიოგრამის გაშიფვრა. განა არ უნდა შეეძლოს ეს თანამედროვე თერაპევტს?

რა თქმა უნდა, ყველას გადამზადება ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მეშვეობით უაღრესად რთული საქმეა. საჭიროა ადგილობრივი დაწესებულებების ბაზებზე გადაწყდეს ეს ამოცანა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას. ამავე დროს ხშირად ისეც ხდება, რომ სამშობიაროო სახლებს არ შეუძლიათ შესთავაზონ მათ შესაბამისი პირობები. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დაუყოვნებელი დახმარება უნდა გაუწიონ მათ. საჭიროა უყურადღებით გავაანალიზოთ: რატომ ხდება, რომ რესპუბლიკის ზოგ რაიონში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ზოგჯერ სამჯერ მეტია, ვიდრე სხვებში?

ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა სანიმუშო სანიტარიული წესრიგი დავამყაროთ საბავშვო დაწესებულებებში, გავაძლიეროთ სარეანიმაციო სამსახური სამშობიარო სახლებში.

ჩვენთვის ამ მტკივნეულ პრობლემებს იმიტომ შევეხე, რომ ისინი უაღრესად აქტუალურია. ამ ნაკლოვანებების დაძლევა შეიძლება. და მოდით ჩვენც გამოვასწოროთ ისინი. იმიტომ, რომ უფრო წმიდათაწმიდა საქმე, ვიდრე ბავშვების ჯანმრთელობაა, ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, მასზე წამოჭრილი საკითხები უდიდეს სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკის მედიკოსებს მუშაობის შემდგომ სრულყოფაში, სკკპ XXVI ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

(საქინფორმი).

ამხ. ნ. ნ. ბლოხინის გამოსვლა

(სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი)

ძვირფასო ამხანაგებო!

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დგას ძალზე რთული ამოცანები, უწინარეს ყოველისა იმ სამეცნიერო პრობლემათა შერჩევის საქმეში, რომლებსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს. არადა, უნდა ითქვას რომ, ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, ხშირად ძალიან ცვლის ცხოვრება. და თუ გავიხსენებთ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებს, როცა ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტი, არსებობად რომ ვთქვათ, ჩვენი აკადემიის პირველსახე, იმ ხანად მედიკოსების წინაშე სულ სხვა ამოცანები დგებოდა. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტში უმთავრესად წყვეტდნენ იმ სხვადასხვა ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, რომლებიც გავრცელებული იყო ძველ რევოლუციამდელ რუსეთში. ამის შემდეგ სამოქალაქო ომმა წამოაყენა თავისი, ძალზე სერიოზული პრობლემები — ბრძოლა მძიმე ჭრილობების, პარტახტიანი ტიფის წინააღმდეგ, რომელიც იმ ხანად მძიმე ეპიდემიური დაავადება იყო. სავსებით ცხადია, რომ ცხოვრება აყენებდა გარკვეულ პრობლემებს და ისინი გადასაწყვეტი იყო.

გავიდა წლები, ჩაიარა დიდი სამამულო ომის რთულმა პერიოდმა, როცა მედიკოსებმა გვიჩვენეს ვაჟკაცობის მაგალითები, როცა საბჭოთა სახელმწიფომ, პარტიამ, მთავრობამ შექმნეს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია. იგი შეიქმნა 1944 წელს, როცა ჯერ კიდევ არ მიწყნარებულიყო დიდი სამამულო ომის ზალპები. ეს აღვიქვით დიდ ჯილდოდ ომის პერიოდში საბჭოთა მედიკოსების თავდადებული მუშაობისათვის.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ბევრი რთული ამოცანა, და სავსებით ბუნებრივია, რომ დღეს ვწყვეტთ მთ და გამოვყოფთ იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც უმეტეს ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას, იწვევს ყველაზე დიდ სიკვდილიანობას. ეს უწინარეს ყოვლისა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები გახლავთ. ამას მოსდევს ისეთი დაავადებები, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნეები, რომლებიც სიკვდილიანობის მაზეზთა შორის მეორე ადგილზეა.

ჩვენ სერიოზულად ვმუშაობთ ფსიქიკური დაავადებების, ვირუსული ინფექციების, მათ შორის გრიპის პრობლემებზე, რომლებიც სახალხო მეურნეობას გარკვეული დროით სწყვეტს ადამიანთა დიდ ჯგუფებს.

ეს არის აგრეთვე იმუნოლოგიისა და გენეტიკის პრობლემები, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც დღეს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სახელმწიფო პროგრამებად მიიჩნია. და, რა თქმა უნდა, მათ უდიდეს ყურადღებას ვუთმობთ. მათ კონტროლს უწევს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

ყოველი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესია ის სენი, რომელიც თვითონ სჭირს. ყველა პრობლემა, რომელზეც ვმუშაობთ, აქტუალურია, მაგრამ იძულებულ ვართ გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები ცალკეულ საკითხთა სახელმწიფო მნიშვნელობის პრინციპის მიხედვით.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბევრი სამეცნიერო დაწესებულება მნიშვნელოვან სიმაღლეზეა; აქ მიმდინარეობს მთლიანად საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისათვის დიდმნიშვნელოვანი კვლევა. კარგად ვიცნობ თბილისის ონკოლოგიური ცენტრის კოლექტივის მუშაობას. იგი შესანიშნავად შრომობს. მინდა აღვნიშნო ა. დ. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით ქართველ ფსიქიატრთა ძალზე კარგი მუშაობა.

მართლაც რესპუბლიკაში სრულდება მეტად ბევრი საინტერესო კვლევითი სამედიცინო სამუშაო, რომლებიც უაღრესად აუცილებელია პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვისათვის. და ძალზე საჭიროა, რომ ისინი, ვინც მედიცინის მეცნიერებაში მუშაობს, კარგად გრძნობდნენ, თუ რას ელის მათგან დღეს ჯანმრთელობის დაცვა, რა არის დღეს საჭირო პრაქტიკისათვის. უნდა ვცდილობდეთ რაც შეიძლება მივუახლოვდეთ ჯანმრთელობის დაცვის კონკრეტულ ამოცანებს. სხვაგვარად მეცნიერება იქნება მხოლოდ მეცნიერება მეცნიერებისათვის.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა პროფილაქტიკა. მისი მნიშვნელობა იზრდება ქვეყნის მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების შედეგად.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ წამოაყენა ლოზუნგი „საყოველთაო ჯანმრთელობა — 2000 წლისათვის“. ეს ნიშნავს, რომ ამ დროისათვის დედამიწაზე ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომი და კარგი სამედიცინო დახმარება. ეს ხომ სწორედ ის არის, რაც ჩვენ კარგა ხანია გვაქვს. სოციალისტურმა ქვეყნებმა ეს ეტაპი უკვე განვლეს, რადგან საბჭოთა კავშირის მაგალითით უკვე ყოველ სოციალისტურ ქვეყანაში არის შესაძლებლობა თითოეულმა ადამიანმა მიიღოს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. ამიტომ დღეს ძალზე საჭიროა, რომ კარგად გვესმოდეს ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის წარმატებები და პრობაგანდას ვუწევდეთ მათ. ამას სხვათა შორის, მიზნად გვისახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმიც. მან დასახა ინტელიგენციის, ახალგაზრდობას, სტუდენტებს, ახალგაზრდა ექიმებს შორის იდეურ-ალმზრდელობითი მუშაობის ფართო ამოცანები.

კარგად უნდა გვესმოდეს ის უდიდესი უპირატესობა, რომელიც აქვს დღეს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკის ონკოლოგიურ დაწესებულებაში ჰოსპიტალში ერთ დღეს ყოფნა 600 დოლარამდე ჯდება. თანაც, ამ თანხაში არ შედის არც ოპერაცია, რომელიც ცალკე ნაზღაურდება, არც სისხლის გადასხმა, არც წამლების ფასი — მხოლოდ საწოლი და კვება. ჩვენ კი ხშირად, ვიცით რა ასეთი ფაქტები, უბრალოდ არ ვაფასებთ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის უდიდეს უპირატესობებს, არ გვესმის ისინი.

როგორც სწორად თქვეს აქ ამხანაგებმა, ამ საქმეში ძალზე ბევრი რამ დაკავშირებულია სოციალურ პირობებთან. და ჯანმრთელობის დაცვას უფრო მეტად უნდა დაეხმარონ სხვა ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები. ურიგო არ იქნება, თუ საწარმოები თავიანთ რაიონებში ჯანმრთელობის დაცვისათვის დახმარების მიზნით ჩაებმებიან თავისებურ შეჯიბრებაში — ვინ უკეთ მოაწყობს დამხმარე დაწესებულებებს და ა. შ. ეს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა.

მინდა შევეხო, კიდევ ერთ რამეს: ჩვენთან ჩამოდიან ახალგაზრდა სპეციალისტები სხვადასხვა რესპუბლიკიდან, მათ შორის საქართველოდანაც მიზნობრივ ასპირანტურასა თუ ორდინატურაში. მაგრამ ზოგჯერ აქ არ არის ზუსტი და

ადამიანების ჯანმრთელობა პარტიის საზრუნავია

(დასასრული)

ომის პირველმა მდივანმა გ. შუღაროვმა, — უნდა იწყებოდეს სამკურნალო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის შექმნით და განმტკიცებით, მათი სპეციალისტთა კადრებით დაკომპლექტებით. ორივე მმართველებით რაიონს სჭირდება შესაბამისი დირექტიული ორგანოების დახმარება. ერთი ცენტრალური რაიონული საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ექვსი სასოფლო საექიმო ამბულატორია და 36 საფერშლო-სამეანო პუნქტი აშკარად არ ჰყოფნის სამედიცინო მომსახურებისათვის რაიონს, რომლის მოსახლეობაც სამოცდაათი ათასს აღწევს. უნდა აშენდეს კიდევ ერთი ტიპობრივი საავადმყოფო. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, უზრუნველყოფთ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების ზუსტი დაგეგმვა, სოფლის საავადმყოფოებში მათი გაგზავნა მომზადების პროცესის მიხედვით. ამ საქმეში მოუწესრიგებლობის გამო, სოფელს ექიმები არ ჰყოფნის. მაგალითად, ცხრა სოფლის საექიმო უბნიდან მხოლოდ ერთშია პედიატრი, რაიონულ საავადმყოფოში შტატით განკუთვნილი 85 ექიმის ნაცვლად მუშაობს მხოლოდ 62. ყველა ეს პრობლემა მოითხოვს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ ყურადღებასა და გადაჭრას.

ამავე პრობლემებს შეეხო თავის გამოსვლაში თელავის რაონის სოფელ კისისხევის საექიმო ამბულატორიის გამგე **მ. ჩხეიანაშვილიც.**

— სოფლის ექიმის მუშაობას თავისი თავისებურებანი აქვს,—ხაზგასმით აღნიშნა მან, — სამწუხაროდ, ამ თავისებურებებს საფუძვლიანად არ აცნობენ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს სწავლის პერიოდში. სტუდენტებსაც — მომავალ ექიმებს ხშირად მცდარი წარმოდგენა ექმნებათ სოფლის ექიმზე, მის ყოველდღიურ საქმეებსა და საზრუნავზე. ვფიქრობთ, რომ არა მარტო უმაღლესმა სასწავლებლებმა, არამედ მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმაც უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ უნდა წარმოაჩინონ სოფლის საკურნალო დაწესებულებათა საქმიანობა მთელი თავისი სირთულით. იმასაც უნდა მივაღწიონ, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებიც უფრო ღრმად სწვდებოდნენ სოფლის ამბულატორიების საარსებო საჭიროებებს, ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ მათ. საბოლოო ანგარიშით ხომ საქმე ეხება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს — მშრომელთა ჯანმრთელობას.

ადამიანისადმი ყურადღებაზე, მისი ჯანმრთელობის, განწყობილებისათვის ზრუნვაზე ილაპარაკეს აქტივის კრებაზე რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ჯ. ჩარკვიანმა,** საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. კაჭარავამ** და სხვა ორატორებმა. სამართლიანად აღინიშნა, რომ მშრომელთა ჯანმრთელობა ჭეშმარიტად სახელმწიფო კუთვნილებაა, და მას ყოველნაირად უნდა გავუფრთხილდეთ. ყოველ მოქალაქეს, რომელიც მოითხოვს სამედიცინო დახმარებას, მისი მიღების კონსტიტუციური უფლება აქვს, თითოეულს უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში გულთბილი, გულისხმიერი და ყურადღებიანი მოპყრობის იმედი. და უყურადღებობის, უსულგულობის, ფორმალიზმის თითოეული შემთხვევა უნდა მივიჩნიოთ საგანგებო შემთხვევად აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. მედიკოსს, თქვენ ორატორებმა, უნდა ჰქონდეს არა მარტო სუფთა ხალათი, თავად უნდა იყოს სპეტაკი, შესწევდეს თანაგრძნობის უნარი, თავდადების უნარი სნეულის დახმარებისა და განკურნებისათვის.

ერთად, ყველას საკეთილდღეოდ

ორატორთა გამოსვლებში გამოსცემოდა ასეთი აზრი: პაციენტის გასინჯვა და მკურნალობა აუცილებლად გულისხმობს ამ საქმეში ექიმის ინდივიდუალურ მიდგომას. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ინტელექტუალურ დონეს, მის ერუდიციას, მის უნარს კეთილად განაწყოს პაციენტი თავის მიმართ. ჩვენ სწორედ აღვნიშნავთ ჩვენი ადამიანების გაზრდილ ზოგადი განათლების, კულტურის დონეს. და უკვე ეს მოითხოვს, რომ ექიმის ცოდნისა და ზრდილობის დონეც შეესაბამებოდეს მაღალ მოთხოვნებს. სწორედ ასეთ შემთხვევაში მკურნალსა და ავადმყოფს შორის უნდა დამყარდეს საჭირო კონტაქტი. ამ მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტების /უფრო ღრმა მომზადება და აღზრდა, ამავე დროს, თუმცა მომავალი სპეციალისტების შერჩევას ითვალისწინებს სწორედ ბიტურიენტებთან გასაუბრება საბუთების მიღებისას, მაგრამ ეს ჯერჯერობით სიმბოლური ხასიათისაა, ვინაიდან მომღე კომისიას უფლება არა აქვს ქალაქვილსა თუ ჭაბუკს, რომელსაც მიდრეკილება არა აქვს ექიმის პროფესიისადმი, აუკრძალოს განცხადების შეტანა საკონკურსო გამოცდებზე დაშვების შესახებ. გამოცდებზე კი ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორიცის ბიტურიენტმა ფიზიკა და ქიმია საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით. და აი, გამოდის, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა და დიპლომის მიღების შემდეგ ახალგაზრდა ექიმს ხშირად არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა — მას არ გააჩნია ამისათვის აუცილებელი ადამიანური თვისებები, კონტაქტს ვერ ამყარებს ავადმყოფებთან, ვერ იგებს მათს გაცდებს, თანაგრძნობით ვერ ეკიდება მათ და ა. შ. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს გავზარდოთ ნამდვილი ექიმები, ჩვენ კი სწორედ ეს გვინდა, უნდა ვიფიქროთ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების სრულყოფაზე. შესაძლოა, საჭიროა ბიტურიენტებს შევთავაზოთ ტესტების სერია, რომლებზეც გაცემული პასუხი საშუალებას მოგვცემს უკეთ განვსაზღვროთ, რაშდენად გამოდგება სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი ახალგაზრდა არჩეული სპეციალობით წარმატებული მუშაობისათვის.

აქტივის კრების ორატორთა გამოსვლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა კადრების, მათი სწავლების, აღზრდის პრობლემას, რომლის გადაჭრაზეც არის დამოკიდებული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მომავალი. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, მათი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მუდმივ და მაღალ მომთხოვნელობას უყენებდნენ ყველა მედიცინის მუშაკს, იღვწოდნენ მათ მიერ თავიანთი მოვალეობების ზუსტი შესრულებისათვის. მათივე ამოცანაა იზრუნონ ექიმების საშუალო და უმცროსი მედპერსონალის პროფესიული ზრდისათვის.

— პარტიის მიერ დასახული ამოცანა მთელი მოსახლეობის დისპანსერიზაციის ორგანიზაციის შესახებ, — თქვა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსმა **ს. ხეჩინაშვილმა,** — მოითხოვს რესპუბლიკაში ექიმთა დიპლომის დაცვის შემდგომი მომზადების სისტემის მოწესრიგებას. ეს პრობლემა უკვე განხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. მისი გადაჭრის მიზნით უკვე დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. ამის შესაბამისად გვარდება ექიმების გადასამზადებლად გაგზავნა...

სამედიცინო კადრების მომზადების პრობლემების გადაჭრასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი სიმტკიცე და მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ, როცა საქმე ეხება საავადმყოფოების, განსაკუთრებით სოფლის საავადმყოფოების მშენებლობას, საჭირო მოწყობილობითა და ინსტრუმენტებით, სათბობით, წყლით მათს უზრუნველყოფას.

— მეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელი, — თქვა თავის გამოსვლაში დმანისის რაიონის მთავარმა ექიმმა **ა. ყურბანოვმა,** — ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, შეგნებული არა აქვს, რომ ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება საბოლოო ანგარიშით ყველაზე ნაყოფიერ გავლენას ახდენს მეურნეობათა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. იმის გამო, რომ არა გვაქვს შესაძლებლობა შევიძინოთ რამდენიმე მეტრი წყალსადენი მილი, ჩვენ წლობით ვერ ვაწვდით წყალს სოფლის ამბულატორიებს, ვერ ვახორციელებთ შენობათა მიმდინარე რემონტს, ვერ ვამყარებთ სატელეფონო კავშირს...

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვან ფორმას შეეხო თავის გამოსვლაში საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ს. ლაბახუა.**

— სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები,—აღნიშნა მან, — დღეს რეკლამას არ საჭიროებენ. ეს პროფილაქტიკური მედიცინის პერსპექტიული დარგია. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მშრომელთა გაჯანსაღების ამ ფორმას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ახლა სხვა ვითარებაა. საერთო მეცადინეობით კვლავაც უნდა შევუწყოთ ხელი საწარმოთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების მშენებლობას, სულ უფრო მეტ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს ოჯახური დასვენების ორგანიზაცია, საჭიროა, რომ სამკურნალო რესურსების გამოყენებისა და საკურორტო ფაქტორების საკითხები მჭიდრო კონტაქტით წყდებოდეს. ეს საშუალებას მოგვცემს, კერძოდ, უკეთ უზრუნველყოთ სამედიცინო კადრებით სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი, უკეთ დავამკვიდროთ ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტები.

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ საკავშირო ჯანმრთელობის კერას. შაგრამ, როგორც ჩანს, ყველამ არ იცის, რომ ექვსი საკავშირო და 25 რესპუბლიკური დანიშნულების კურორტის გარდა რესპუბლიკაში არის ადგილობრივი დანიშნულების 61 კურორტი და 300-ზე მეტი პერსპექტიული საკურორტო ადგილი, რომელთა ათვისება და განვითარება ახლა მომავლის საქმეა. მთელი ეს სიმდიდრე განსაკურთხეთ დიდ ყურადღებას მოითხოვს. მის ათვისებაში უნდა აღმოვფხვრათ კუთხურობა, მუშტრული მიდგომა, დავუპირისპიროთ ამას ერთიანი სამეურნეო დაგეგმვა, განაშენიანება და კეთილმოწყობა. კურორტების სიმდიდრეები უფრო სრულად და რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ საერთო სარგებლობისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დაგვეხმარება ადგილობრივი დანიშნულების კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო.

მეცნიერება სანარმოო ძალაა

აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა ის როლი, რომელიც უნდა შეასრულოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის განვითარება-გაუმჯობესებაში მედიცინის მეცნიერებამ.

ამჟამად საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში არის 18 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მათი ფილიალი, სამედიცინო ინსტიტუტი. აქ მუშაობს 10 ათასამდე კაცი. საქართველოში გვყავს დაახლოებით 500 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 1200-ზე მეტი კანდიდატი. დაახლოებით 30 მედიკოსი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ჩვენს ექიმ-მეცნიერთა შორის არიან ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, საერთაშორისო საზოგადოებათა და ასოციაციათა წევრები.

— რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სამედიცინო-კვლევითს დაწესებულებებში ამუშავებენ თანამედროვე თეორიული და კლინიკური მედიცინის მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს, მათ შორის ისეთებს, როგორიც არის: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ონკოლოგია, ფსიქიკური და ნერვული მოშლა, შრომის ჰიგიენა და პროფესიული პათოლოგია, დედათა და ბავშვთა დაცვის მეცნიერული საფუძვლები, გარემოს დაცვის სამედიცინო ასპექტები და მთელი რიგი სხვა პრობლემები, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **მ. კუზინმა.** — შესრულებული სამეცნიერო შრომების დიდი უმრავლესობა აისახება ქვეყნისა და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსურ სამეცნიერო-მიზნობრივ პროგრამებში.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთელი რიგი დაწესებულებანი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის გულ-სისხლძარღვთა მოშლილობა, სიმსივნეები, ეპიდემია, საკურორტო ფაქტორების გამოყენება მთელი რიგი დაავადებების კურნალობაში, პერინატოლოგია, მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკა მედიცინასა და ჯანმრთელობის დაცვაში, შრომის ჰიგიენა და პროფესიული პათოლოგია, ბრძოლა მალარიისა და ზოგიერთი სხვა ინფექციური დაავადების წინააღმდეგ და ა. შ.

ფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაწესებულებათა სამეცნიერო ურთიერთთობა და თანამშრომლობა სხვა უწყებათა ინსტიტუტებთან აქტუალური ამოცანების კომპლექსურ დაშუშავებაში. მასში მონაწილეობენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინსტიტუტები, რომლებიც ვანლგებულია ჩვენს რესპუბლიკაში: სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი, თბილისის ექიმთა დახელოვნების, აგრეთვე ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელობის ფიზიოლოგიის, აკადემიკოს ი. ნ. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოლოგიის, აკადემიკოს ა. ნ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის, აკადემიკოს დ. ნ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის, კიბერნეტიკის, ქიმიისა და სხვა ინსტიტუტები.

მარტო ბოლო რამდენიმე წელიწადში შექმნილია ორი სამეცნიერო პროგრამა, რომლებიც შეიცავს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ონკოლოგიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრობლემათა კვლევას. გაფორმებულია ორი საპარტნიორო შეთანხმება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს შორის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის ერთობლივი კვლევის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შორის სამკურნალო პრაქტიკაში ლეიკოციტური ინტერფერონის გამოყენების თაობაზე, რაც უკვე იძლევა დამაიმედებელ შედეგებს.

თეორიული, კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის დარგში რესპუბლიკის მეცნიერებმა აგრეთვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს.

დამუშავებულია ნორმისა და სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს თავის ტვინის ფეჭეზი აგებულების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებმაც გამოიწვიეს ახალი სამეცნიერო მიმართულებებისა და დებულებების შექმნა. ფუნდამენტური ხასიათი აქვს ფსიქონეგრული მოშლილობის პათობიოლოგიური წანამძღვრების კვლევას. კლინიკურად აპრობირებული და ექსპერიმენტულად შესწავლილია სხვადასხვა ნეიროტროპიული და ფსიქოტროპიული ნივთიერებების მოქმედების მექანიზმი.

შესწავლილია ნეირონის ეპილეპტიზაციისა და მთელი ეპილეპტიკური პროცესის პათოგენეზური ეპილეფსიის კლასიფიკაციის სქემა და მისი თერაპიის ახალი ვარიანტები.

შემუშავებული, სრულყოფილი და პრაქტიკაში დანერგილია ციფრული კომპიუტერების გამოყენებით სმენის განსაზღვრის ობიექტური მეთოდები, აგრეთვე ყურისა და ხორხის მიკროქირურგიის ახალი მეთოდები.

დანერგილია გულის იშემიური დაავადების ეტაპობრივი მკურნალობის სისტემა, რომელმაც შემცირა სტაციონარებში ლეტალურობა. ექსპერიმენტულად და კლინიკურად არის შესწავლილი ორთოპედიაში, ოფთალმოლოგიასა სტომატოლოგიაში კორუნდაკრამიკული პროთეზირების გამოყენების საკითხები.

დიდ ინტერესს იწვევს კვლევა რესპუბლიკის საკურორტო რესურსების შესწავლისათვის.

შოკის შეუქცევადობის მექანიზმების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია ტრავმების დროს თანამიმდევრული პროგნოზირების სქემები და ალგორითმები.

ჩვენმა მეცნიერებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სეფსისის მკურნალობაში; შემუშავებული და დანერგილია ამ მძიმე პათოლოგიის მკურნალობის ახალი ორგანიზაციული ფორმები, რაც მეტად ეფექტიანი გამოდგა.

შექმნილია მთელი რიგი აპარატები და მოწყობილობანი, რომელთა ორიგინალობას ადასტურებს საავტორო მოწმობები.

ამჟამად მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მეცადინეობის კონცენტრაცია პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა გათვალისწინებით უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, რომელსაც სიფუძვლად უდევს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი.

საჭირო ხდება ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში მეცნიერული მიღწევების დანერგვისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ეფექტიანობის ამაღლების ორგანიზაციული ფორმების შემდგომი სრულყოფა.

უნიკალურ აპარატურაზე მოთხოვნილების ზუსტი განსაზღვრის, მისი განაწილებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით შექმნილია ახალი ტექნიკის კომიტეტი.

ყოველივე ამასთან ერთად აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მედიცინის მეცნიერება ზოგიერთი მიმართულების მიხედვით ჩამორჩება. სუბიექტური ხასიათის მიზეზების გარდა, ამაზე გავლენას ახდენს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სუსტი აღჭურვილობა იმ რაოდენობის თანამედროვე აპარატურითა და მოწყობილობით, რომელიც საჭიროა ნამდვილად თანამედროვე დონეზე კლინიკური კვლევისათვის. გასაუმჯობესებელია კვლევის დაგეგმვა.

ზოგჯერ წლების მანძილზე ცდება ძვირად ღირებული აპარატურა ან იგი ნაკლებეფექტიანად გამოიყენება.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევა მეცნიერი მედიკოსების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორების ღირსების საქმეა. აქ მათ დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვა უნდა ავამაღლოთ თვისებრივად ახალ დონეზე — ასეთი იყო აქტივის კრებაზე გამოსვლების ლაიტმოტივი.

აქტივის კრების რეზოლუციიდან

— მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების, ამასთან პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ძირითადი ამოცანაა დაავადებათა პროფილაქტიკისათვის მუშაობის გადაჭრით გაძლიერება და როგორც ამის საფუძველი — რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაცია.

— ამ ამოცანის წარმატებით რეალიზაციის მიზნით უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ყველა სამედიცინო დაწესებულების მეცადინეობის კონცენტრაციის ღონისძიებათა კომპლექსი, აქტიურად ჩავბათ ამ საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის ორგანიზაციისათვის მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

— უნდა გარდავქმნათ დამოკიდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროსადმი, როგორც სახალხო მეურნეობის არამწარმოებლური დარგისადმი. მისი მოქმედების ეფექტიანობაზე არსებითად არის დამოკიდებული მთელი ეკონომიკის საქმიანობა. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა უნდა მივიჩნიოთ სამეურნეო მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ეკონომიკური მუშაობის დადმნიშვნელოვან ნაწილად, რომელსაც ამავე დროს მაღალი ზნეობრივი, სოციალური და პოლიტიკური საფუძველი აქვს.

— უაღრესად საჭიროა მოსახლეობაში სანიტარიულ-ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდის შემდგომი გააქტიურების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის რეალიზაციაში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისა და ხელმძღვანელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიური ჩაბმის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

— ყველა პარტიული და საბჭოთა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოსათვის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხის ასამაღლებლად გასაწევი მუშაობის ძირითად მიმართულებად ჩაითვალოს დისპანსერის ყოველმხრივი განმტკიცება, ორგანიზებულობის ამაღლება ყოველ სამედიცინო კოლექტივში, მუშაობის მკვეთრი გააქტიურება მედიცინის მუშაკთა აღსაზრდელად საბჭოთა მედიცინის საუკეთესო ტრადიციების, დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. საჭიროა მტკიცედ ვიბრძოლოთ პაციენტებისადმი უხეშობა, უყურადღებო დამოკიდებულების, საბჭოთა ექიმის ქცევის ეთიკური ნორმების დარღვევის ჯერ კიდევ არსებული ფაქტების, სხვა ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად.

— იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო დაწესებულებათა ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლებას მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტას აქტიურად მობმარდეს რესპუბლიკაში არსებული მეცნიერული და საწარმოო პოტენციალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფინანსური და სხვა საშუალებანი. (საქინფორმი).

22 ნოემბერი

უსპორტი

ფაქტები მოვლენები საკადრო იუწყება

თავიდან ავიცილოთ კატასტროფის საფრთხე

მუშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება

ათენი. „აქ დამთავრებული მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის ბიუროს სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს და დეპეშები გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელგიისა და ნიდერლანდების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებს მოწოდებით უარი თქვან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საშუალო* სიშორის ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებაზე. „ყველა ევროპელისა და მთელი კაცობრიობის . მეგზისათვის ამ კრიზისულ მომენტში, როცა რამდენიმე დღეა დარჩა. მთელი რიგი დასავლეთევროპული ქვეყნების ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებამდე, — ნათქვამია დეპეშებში, — თქვენ ახორციელებთ აქტს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მოულოდნელი, კატასტროფული შედეგები თქვენი ხალხისა და ევროპის ყველა ხალხისათვის“.

მოუწოდეს რა არ გადადგან საშიში ნაბიჯი, რომელიც ჩაშლის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ენერგის მოლაპარაკებას, სესიის მონაწილეებმა მოითხოვეს გამოაცხადონ არა სიტყვით, არამედ საქმით, კეთილი ნება ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების ხელშეწყობისათვის. ენერგის მოლაპარაკება უნდა გაგრძელდეს დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ■ იარაღის განლაგებლობის პირობებში — ასეთია გადაუდებელი მოთხოვნა ომის საწინააღმდეგო მეელი ძალების, რომლებიც გულწრფელად არიან დაინტერესებული თავიდან აიცილონ ევროპის კონტინენტს კატასტროფის საფრთხე, აღნიშნულია დეპეშებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვეტოს ენერგის მოლაპარაკების გამოყენება თავისი გეგმების განსახორციელებელ შირმად, რომელთა მიზანია სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა.

● ლიბანი

აგრესორის ახალი ნაბიჯი

ბეირუთი. ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის საბოლოო ანექსიის გზაზე ახალი ნაბიჯია ისრაელის ხელისუფალთა მიერ შემოღებული სავიზე კონტროლი საკონტროლო-გასაშვებ პუნქტში მდინარე ავალზე. ამით ისრაელები წინასწარი განზრახვით დაბრკოლებებს ქმნიან აგრესორის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანის რაიონებთან ნორმალური მიმოსვლისათვის.

ინტერვენტები იყენებენ ლიბანელ მოქალაქეთა ჩხრეკის დამამცირებელ პრაქტიკას, მათ სთხოვენ ისრაელ ხელისუფალთა მიერ გაცემულ ნებართვას სამხრეთ ლიბანში შესვლისათვის, როგორც ეროვნული საინფორმაციო სააგენტო იუწყება, დაახლოებით 3200 ლიბანელი ქალაქ საიდაში ცდილობდა მიეღო ამგვარი ნებართვა, მაგრამ ისრაელის საოკუპაციო ადმინისტრაციამ მხოლოდ 7 ნებართვა გასცა.

● გრენადა

ვითარება კვლავ დაძაბულია

ჯორჯთაუნი. სენტ-ჯორჯესიდან მოსული ცნობები მოწმობს, რომ ვითარება გრენადაში კვლავ უაღრესად დაძაბულია. ამერიკის ოკუპაცია იერძნობა ყველაფრით: დედაქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტების ყოველ ქუჩაზე ამერიკელ ჯარისკაცთა ყოფნით, მათი აღვირახსნილობით, ბინებისა და ავტომანქანების საყოველთაო ჩხრეკით, დაპატიმრებით, ანტიკომუნისტური სუფლისკვეთებით, კუნძულის მოსახლეობის ბოროტი ფსიქოლოგიური დამუშავებით.

გრენადიდან ახლახან ჩამოსული 12 გაიანელი სპეციალისტის ჩვენებების საფუძველზე ადგილობრივი რადიო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკელი ოკუპანტების მიერ დამყარებული „ახალი წესრიგი“ ასახავს მისწრაფებას გადააქციონ სუვერენული ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიად. როგორც ერთ-ერთმა სპეციალისტმა განაცხადა, გრენადის მოსახლეობას კარგად ესმის, რომ ამერიკის ჯარების ყოფნის მიზანია გაუხსნან მარიონეტულ ადმინისტრაციას, მოსპონ მ. ბიშოპის მთავრობის მიერ ხალხის ფართო მასების ინტერესებისათვის განხორციელებული პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები.

გრენადელთა უმრავლესობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს ამერიკელ ოკუპანტთა თვითნებობა, მათ მიერ „განსაკუთრებული“ დასურული ზონების შემოღება, კუნძულზე თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვა, სხვა პოლიციური ღონისძიებანი, აღნიშნავს რადიო.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარები გრენადაში დიდი ხნით დარჩენას აპირებენ. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, მარიონეტული „დროებითი საბჭოს“ წევრები აცხადებენ, ამერიკის ჯარების ყოფნა „განუსაზღვრელად დიდი ხნით“ გახდება საჭიროო. თუმცა კუნძულზე ამერიკის 4,3-ათასიანი კონტინგენტის გარდა კარიბის მარიონეტული ქვეყნების „მშვიდობის დაცვის ძალების“ დაახლოებით 350 ვაიმეომარი იმყოფება, წერს გაზეთი, ვაშინგტონს მიაჩნია, რომ ეს ძალები „ერთობ მცირერიცხოვანია“ პოლიციის ფუნქციების შესრულებისათვის. მოვლენები ცხადყოფს, რომ ეს ფუნქციები შემოიფარგლება ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობის ჩახშობით, რომელიც კვლავ გრძელდება, გრენადელი პატრიოტების დევნით და მათი სასტიკი დასჯით. როგორც გაზეთი აღიარებს, ვაშინგტონში ახლა ეწყობა იმ გრენადელთა საყოველთაო ჩხრეკა-დაპატიმრება, რომლებიც ეუბმიტანილი არიან საოკუპაციო რეჟიმისადმი ოპოზიციაში.

● ინდოეთი

ანტიამერიკული დემონსტრაცია

დელი. „ამერიკის ინტერვენციონისტული ჯარები წაეთრიონ გრენადიდან!“, „შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანევრები კარიბის აუზში!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ინდოეთის დედაქალაქში მასობრივი ანტიამერიკული დემონსტრაცია. მისმა მონაწილეებმა დაგმეს ამერიკის ჯარების ბანდიტური შეჭრა გრენადაში. გამართულ მიტინგზე (სურათზე) ორატორებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ დღეს ბრძოლას ომათ წინააღმდეგ, ვინც მსოფლიოს ბირთვული კატასტროფის უფსკრულისაკენ უბიძგებს, საარსებო მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხებისათვის.

საკდესის ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

21 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო საფრანგეთის საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის მინისტრი ი. კრესონი, რომელიც მეთაურობს საფრანგეთის დელეგაციას მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მუდმივმოქმედი შერეული „დიდი“ კომისიის მე-18

რუსთაველის საᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲒᲐᲠᲐᲗᲘᲗ

ᲗᲣᲠᲥᲘ პოეტის — **თანინ ხარაჯის** სახელი კარგად არის ცნობილი ლიტერატურულ სამყაროში. მისი ლექსთა კრებულები „ბრძოლა მზისათვის“, „მარადიული სიმარტოვე“ და სხვები დიდად პოპულარულია არა მარტო პოეტის სამშობლოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ახლახან ფრანგულად ითარგმნა და გამოიცა მისი „რჩეული ლექსები“. მკითხველს მოსწონს სარაჯის ლირიკა, მისი უაღრესად გამორჩეული პოეტური ხმა.

გარდა მწერლური მოღვაწეობისა, სარაჯი, რომელმაც სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის სპეციალობით) და პარიზის ფონეტიკის ინსტიტუტი დაამთავრა, დიდ მთარგმნელობითს მუშაობას ეწევა.

დღეს იგი ჩვენი სტუმარია, და თანაც ფრიად კეთილშობილური მისიით ჩამოსული საქართველოში:

— ამ ორი წლის წინათ შევხვდი თურქეთში (საბჭოთა კავშირის საელჩოში) როლანდ ჯიქიას — საელჩოს პირველ მდივანს, რომელმაც ბევრი რამ მიამბო საქართველოზე, რუსთაველზე... არაფერს შევპირებივარ, მაგრამ გადავწყვიტე, უფრო ახლოს გავცნობოდი ტარიელის თავგადასავალს. ცოტა მოგვიანებით ქიაზიმ ფაქსოიმ (თურქეთის სავაჭრო ატაშემ მოსკოვში) „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი მისახსოვრა.

მას შერე დაკარგე მოსვენება... და გადავწყვიტე, მეც შემებედა ამ ზეკაცისთვის... კი ვიცი, რა ტვირთიც ვიტვირთე, მაგრამ რას იზამ. ახლა თავად რუსთაველი თუ მიშველის დიმითანაგრძნობს...

სტუმარს ეღიმება. და ვგრძნობთ, რაოდენ ურყევია მისი გადაწყვეტილება. — თარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“ პოეტურად და ამასთანავე, შეუნარჩუნოს „დენისეული მუსიკალურობა.

— პწკარედს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი „ბრძენთა“ ბანდა ბოგუშევსკი ეწვიოთ. ეს ადამიანი ალბათ ბევრ ამბავს ეტყვის ჩემთვის. ეს ადამიანი ალბათ ბევრ ამბავს ეტყვის ჩემთვის. ეს ადამიანი ალბათ ბევრ ამბავს ეტყვის ჩემთვის.

— ეს ადამიანი ალბათ ბევრ ამბავს ეტყვის ჩემთვის.